ხელშეკრულება № 15

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ლაგოდეხი 7 აპრილი 2011 წ.

მუხლი I მხარეები

ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა **გაერთიანების დირექტორის ირმ**ა სიყმაშვილსა (შემდგომში მყიდველი) და მეორეს მხრივ **ფ.** პ. კობა დედაბრიშვილის სახით. (შემდგომში გამყიდველი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი II ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სოფელ მსხალგორის საბავშვო ბაღისათვის და კავშირის ბაღისათვის მაცივრების შეკეთება.

მუხლი III ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების საგნით განსაზღვრული გასარემონტებელი ობიექტის ღირებულება განისაზღვრება ლარებში კერძოდ სოფელ მსხალგორის საბავშვო ბაღის მაცივრის შეკეთების ღირებულებაა 75/სამოცდათხუთმეტი/ლარი. მ.შ.15/თხუთმეტი/ლარი გადაირიცხება საშემოსავლოს ანგარიშზე. სოფელ კავშირის საბავშვო ბაღის მაცივრის შეკეთების ღირებულებაა 75/სამოცდათხუთმეტი/ლარი. მ.შ.15/თხუთმეტი/ლარი გადაირიცხება საშემოსავლოს ანგარიშზე. სულ 150/ასორმოცდაათი/ ლარი.

მუხლის IV შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

ობიექტის გარემონტება დასტურდება მიღება–ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები („მიმწოდებლის") ფიზიკური პირი კობა დედაბრიშვილი, სოფელ მსხალგორის საბავშვო ბაღის უფროსი აღმზრდელი მეთოდისტი მზია შუბითიძე, სოფელ კავშირის ბაღის უფროსი აღმზრდელი მეთოდიტი მარინა გამყრელიძე

მუხლი V ანგარიშსწორების ფორმა

1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
2. ობიექტის გარემონტების ხარჯების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
3. ანგარიშსწორება ხორციელდება „შემსრულებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ხელშეკრულების მე-4 მუხლში აღნიშნული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი VI მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%–ის რაოდენობით.

3. საჯარომო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4. მუხლი VII ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთ მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2011 წლის 30 აპრილი.
2. ფასების ცვლილებების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებების.

მუხლი VIII ფორს–მაჟორი

1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: ომი, ნებისმიერი ხასიათის საბრძოლო ან სამხედრო მოქმედებები, სტიქიური მოვლენები.

მუხლი IX დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაჭრან მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით..

მუხლი X სხვა პირობები

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება საჭიროებს წერილობით ფორმას და ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის და განიხილება მის განუყოფელ ნაწილად.

წინამდებარე ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება დამრღვევი მხარისადმი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.

ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება დამრღვევი მხარისადმი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.

ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან

ხელშეკრულებასთან დაკავშირებილი ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

ისეთ შემთხვევეში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

მ ხ ა რ ე თ ა   რ ე ქ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა( )იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	ფ.პ. „კობა დედაბრიშვილი" ქ. თელავი სოფ. იყალთო პ.№ 20001055585 ს.ს „კორსტანდარტბანკი" კოდი №220101945 საინ. კოდი №900161245
ქ. ლაგოდეხი ქიზიყის ქ. №25 ლიბერთი ბანკის ლაგოდეხის ფილიალი ანგ. № №GE66LB0115123180251000 საიდენ. კოდი 233146798	ანგარიშის № GE 67KS0000004000124120
დირექტორი: ი. სიყმაშვილი	ხელმოწერა: ______________ /კ. დედაბრიშვილი/